

# Capatect Buntstein-Sockelputz 691

სუფთა აკრილატზე დაფუძნებული, გამოსაყენებლად მზა ფერადი ქვის/ცოკოლის ბათქაში, ფერთან შესაბამისი ბუნებრივი ქვის გრანულებით.

## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ფერადი ქვის ბათქაში, გარე და შიდა სამუშაოებისთვის - DIN EN 15824 მიხედვით. შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ორგანული და მინერალური ზედაპირების საბოლოო/ზედა საფარი (გარე სამუშაოები: მაგ. Capatect-ის ფასადის სისტემები, ბეტონი, PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები - DIN 18550-1 მიხედვით. ინტერიერი: თაბაშირ-მუყაოს ფილები, PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები)

**განსაკუთრებით შესაფერისია ცოკოლის ზონებისთვის!**

თვისებები

- სტრუქტურული ნაწილაკები: კოლორიტი კვარცის გრანულები
- შემკვრელი: სუფთა აკრილატი
- შემკვრელისა და მარცვლოვანი მასალის ხარისხიანი, მსუბუქი კომბინაცია
- კარგი ადჰეზიის უნარი
- დარტყმა მედეგი
- ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი
- ორთქლდიფუზიური
- ადვილად წმენდადი
- ცვეთა მედეგი DIN 18 363-ის (VOB, C) მიხედვით
- მაღალი მდგრადობა
- მარტივად დასათანი
- წყალდისპერსიული

შეფუთვა

25 კგ

ფერი

01: ნაცრისფერი (grey) 02: ირლანდიური მწვანე (Irish green) 03:კაუნისფერი წითელი (flint red) 04: ანტრაციტი (anthracite) 05: ვეზუვიური ნაცრისფერი (vesuvian grey) 06: როზატო კვარცი (rosato quartz) 07: კენჭისფერი ნაცრისფერი (pebble grey); 08: კენჭის ფერი (pebble color)

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას. დაიცავით ყინვისგან და მოარიდეთ პირდაპირ მზის სხივებს.

ტექნიკური პარამეტრები

- ნაწილაკების მაქსიმალური ზომა: 2.0 მმ, ბუნებრივი ქვის მარცვლოვანი სტრუქტურა
- ორთქლ დიფუზიურობის კოეფიციენტი:  $sdH_2O$ : ზედაპირი Capatect 190:  $sd < 0.6$  მ
- გამყარებული ხსნარის სიმკვრივე: დაახლ. 1.5 კგ/დმ<sup>3</sup>
- წყლის კაპილარული შეწოვის უნარი:  $w < 0.2$  კგ/(მ<sup>2</sup> · h<sup>0,5</sup>) DIN 52617-ის მიხედვით
- კონსისტენცია: პასტისებრი
- სტრუქტურა / ფაქტურა: ბუნებრივი ქვები

პროდუქტის ნომერი

691



## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

Capatect ETICS-ის ან Capatect-VHF-ის (ვენტილირებადი ფასადები) ფასადის სისტემები, ცოკოლი დაუფარავ ბეტონზე, PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები DIN 18 550-ის მიხედვით, თაბაშირი, თაბაშირ-მუყაოს ფილები.

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს სწორი, სუფთა, მშრალი, მყარი და თავისუფალი ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისაგან. Capatect 691-ის გამოყენებამდე - ზედაპირზე არსებული ძველი საგრუნტი ფენების შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს ზედაპირის ხელახლა დაგრუნტვა ან გამამყარებელი პროდუქტების დატანა. ახალი საგრუნტი ბათქაშების ფენა, Capatect 691-ის გამოყენებამდე 3-4 კვირის განმავლობაში უნდა გამკვრივდეს. სანამ დაიტანოთ Capatect 691-ს - Capatect-ის ფასადის სისტემების ცოკოლის ზონების ზედაპირზე, მასზე არსებული არმირების ფენა უნდა იყოს გამკვრივებული და მშრალი.

დატანის მეთოდები

დაიტანეთ Capatect 691-ი უჟანგავი ფოლადის შპატელით თანაბრად, მთელს გამკვრივებულ ზედაპირზე. შემდეგ დაუყოვნებლივ შეაბილეთ ნაწილაკების ზომამდე და გაათანაბრეთ. რეკომენდაცია: მიეცით მასალას საშუალება, რომ ოდნავ გაშრეს ზედაპირზე და შემდეგ კვლავ გაათანაბრეთ სუფთა, უჟანგავი ფოლადის შპატელით. ბუნებრივი აგრეგატების და გრანულატების გამოყენებისას შესაძლოა ზედაპირზე ფერთა ტონების მერყეობა, ამიტომ საჭიროა ერთმანეთის მომიჯნავე ზედაპირებზე მხოლოდ ერთი და იმავე სერიის პროდუქტი გამოიყენოთ, ან სხვა და სხვა სერიის პროდუქტები წინასწარ, სრულად შეურიოთ ერთმანეთს.

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი უნდა დაიგრუნტოს Putzgrund 610-ით. ეს შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული ფერთა ტონების მიხედვით შეფერადებულ სტრუქტურულ ფენას.

| Putzgrund 610-ის კოლირების მითითებები:     |                              |  |      |                    |        |
|--|------------------------------|--|------|--------------------|--------|
| Capatect Bunstein-Sockelputz 691-ის ფერები | ColorExpress-ის კოლექცია     | AVA: ჰიგენური პასტების საჭირო რაოდენობა კგ-ზე - Putzgrund 610 [ მლ ] |      |                    |        |
|  |                              | შავი   | ოხრა | მონითალო ყავისფერი | მწვანე |
| 01 ნაცრისფერი (grey)                       | Capatect 691                 | 877  | 222  | 20                 | -      |
| 02 ირლანდიური მწვანე (Irish green)         |                              | 1010   | 1750 | -                  | 74     |
| 03 კაჟისფერი წითელი (flint red)            | მხოლოდ კოლირებადი სამუშაოები | 812  | 3256 | 6954               | -      |
| 04 ატრაციტი (antracite)                    |                              | 4570   | 202  | 101                | -      |
| 05 ვეზუვიური ნაცრისფერი (vesuvian grey)    | Capatect 691                 | 538  | 92   | 23                 | -      |
| 06 როზატო კვარცი (rosato quartz)           |                              | 2031   | 784  | 530                | -      |
| 07 კენჭისფერი ნაცრისფერი (pebble grey)     |                              | 760  | 61   | -                  | -      |
| 08 კენჭისფერი (pebble color)               |                              | 1150   | 1180 | -                  | 210    |

ბარჯი

დაახლ. 5.0 კგ/მ²

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრობის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის და ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს.

**Site protection:** If necessary, use tarpaulins as a protection against rain during the application and curing process.

შრობის დრო

ჰაერის 20°C ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში ზედაპირულად მშრალია 3-4 დღეში. შემდგომი სამუშაოებისათვის და დატვირთვისთვის მზადაა 6-8 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

გამოყენებისთანავე დაუყოვნებლივ გაწმინდეთ წყლით.

მასალის მომზადება

საფუძვლიანად ამოურიეთ Capatect 691 შეფუთვის შიგთავსი, დაბალი სიჩქარის ელექტრო მიქსერით. საჭიროების შემთხვევაში მასალის გაზავება შეიძლება მაქს. 2% ონკანის წყლით.

შენიშვნა

არ გამოიყენება წყლის დატვირთვის მქონე პორიზირებული ზედაპირებზე.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები

**შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას!** იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე, გამოყენების და შრობის დროს. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას, გულდასმით დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ მასალის კანალიზაციაში, წყალსაცავებსა ან ნიადაგში მოხვედრა. შეფუთვა გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ განმინდეთ წყლით და საპნით. არ შეისუნთქოთ დატანისას წარმოქმნილი მტვერი. გამოიყენეთ A2/P2 კომბინირებული ფილტრი მასალის შესხურებისას.  
**შეიცავს:** 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

ცარიელი შეფუთვა მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე. საღებავის ნარჩენი გამხმარი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, ადგილობრივი ადმინისტრაციული წესების შესაბამისად.

პროდუქტის კოდი

BSW20 (M-DF02)

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს კაპაროლ ჯორჯია**  
 ალ. ქართველიშვილის ქ. N8,  
 0198 თბილისი საქართველო  
 office@caparol.ge  
 www.caparol.ge